შეხვედრა მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტორებთან.

2017 წლის 26 – 27 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს Erasmus + STA Mobiliti - ის ფარგლებში ესტუმრენ მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნორა ლომბარდინი და დოქტორანტი ელენა ფიორეტტო. მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა გაცნობოდნენ ფაკულტეტზე რა მეთოდით ისწავლება შენობა - ნაგებობების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, რესტავრაცია და ურბანულ რეკონსტრუქცია.



26 აპრილს შედგა შეხვედრა „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის“ დეპარტამენტის პედაგოგებთან: პროფესორ გიული გეგლიასთან, ბესარიონ ტატიშვილთან და ბელა თინიკაშვილთან. მათ სტუმრებს გააცნეს სასწავლო კურსის: „შენობა - ნაგებობების რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაციის“ სწავლის მეთოდიკა და განიხილეს სტუდენტთა ნამუშევრები. სწავლის მეთოდიკა გულისხმობს არსებული ისტორიული ობიექტის რეკონსტრუქცია - რესტავრაციის პროექტის შექმნას თეორიული კვლევის და ანალიზის საფუძველზე, ასევე ყოველი კონკრეტული ობიექტის მდგომარეობის ანალიზით თანამედროვე და ისტორიულ ფორმებს შორის სინთეზის შესაძლებლობის ძიებას. სტუდენტურმა პროექტებმა და სწავლის მეთოდიკამ სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა.

სტუმრები ასევე დაესწრენ მეცადინეობას არქიტექტურულ პროექტირებაში, რომელსაც უძღვებოდა აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია ახალგაზრდა პედაგოგებთან ანა ბიბილაშვილთან და მამუკა ბარათაშვილთან ერთად.

მეცადინეობის შემდგომ შეხვდნენ აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას. ისაუბრეს თანამედროვე არქიტექტურის აქტუალურ პრობლემებზე. აკადემიკოს ვახტანგ დავითაიამ იტალიელ სტუმრებს აჩუქა სხვადასხვა წლებში მის მიერ გამოცემული წიგნები და მონოგრაფიები, რომლებშიც განხილულია არქიტექტორის ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობა. ვახტანგ დავითაიამ წიგნები საჩუქრად გადასცა მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკას.

27 აპრილს პროფესორი ნორა ლომბარდინი და დოქტორანტი ელენა ფიორეტტო დაესწრნენ სტუდენტთა პრეზენტაციებს თემაზე: „თბილისის ისტორიული უბნების რეკონსტრუქცია და პერსპექტიული განვითარება“, რომელიც მომზადდა პედაგოგ ირაკლი მურღულიას ხელმძღვანელობით. პრეზენტაციების შემდეგ პროფესორმა ნორა ლომბარდირმა სტუდენტებს ჩაუტარა მასტერ კლასი და წაიკითხა ლექცია თემაზე: „Method and practice for Restoration in the present times: potentiality for an intercultural dialogue“.

იტალიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტზე არსებული გამოფენა და ხატვის სახელოსნო. სტუმრები აღფრთოვანდნენ სტუდენტთა ნამუშევრებით.

სტუმრებმა აგრეთვე დაათვალიერეს ქალაქი - ძველი თბილისის უბნები კალა, კლდის უბანი, ლეღვთა უბანი, აღმაშენებლის გამზირი. ის შენობები, რომლებთაც ჩაუტარდათ რეკონსტრუქცია. დიდი ინტერესი გამოიწვია ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სამრეწველო ობიექტის „ფაბრიკა“ რეკონსტრუირებულმა ნაგებობამ. ასევე მოინახულეს დიდი ინტერესით მოდერნიზმის პერიოდის შენობები, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. მოინახულეს თბილისში აშენებული უახლესი ნაგებობები, მათ შორის იტალიელი არქიტექტორის მაქსიმილიანო ფუქსასის პროექტით აგებული იუსტიციის სახლი და საკონცერტო დარბაზი რიყეზე. 29 აპრილს გაემგზავრნენ საქართველოს უძველეს ქალაქში მცხეთაში. მცხეთის რეკონსტრუქციის ავტორებთან არქიტექტორი გიული გეგლიასთან და ბესარიონ ტატიშვილთან ერთად მოინახულეს ის ნაგებობები, რომლებიც მათი პროექტებით განხორციელდა. დასასრულს სტუმრებმა ისაუბრეს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას ორ უმარლეს სასწავლებელს, ორ არქიტექტურულ სკოლას შორის.